ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო -

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ოქმი N 10

ქალაქი ბათუმი

05 აპრილი, 2019 წელი (17 : 30 სთ)

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ოთახი

სხდომას ესწრებოდნენ :

1. გურამ ფუტკარაძე - აჭარის ა/რ მხატვართა კავშირის თავმჯდომარე; საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი;
2. თემურ კაკაბაძე - ,,ახალგაზრდული ორგანიზაცია ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის'' დამფუძნებელი და თავმჯდომარე ;
3. ნინო ინაიშვილი - საზოგადოება ,,ბათომის'' დამფუძნებელი და გამგეობის თავმჯდომარე; განათლების საერთაშორისო ცენტრის ბათუმის ოფისის ხელმძღვანელი.
4. მაყვალა კვირიკაძე - შპს ,,მაკო''-ს დამფუძნებელი; აჭარის ქალ ბიზნესმენთა ასოციაციის თავმჯდომარე;
5. კახაბერ გუჩმანიძე - CENN - პროექტის - ნარჩენების მართვის ტექნოლოგია რეგიონებში (USAID / WMTR II) - რეგიონული კოორდინატორი აჭარაში;
6. ზურაბ ჩიხლაძე - ბათუმის შოთა რუსთაველი უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ქირურგიული დეპარტამენტის პროფესორი, მედიცინის დოქტორი;
7. ნათია აფხაზავა - სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის დირექტორი ;
8. თამაზ თურმანიძე - შპს ,,რუსული რეგისტრი ვესტჯორჯია''-ს დირექტორი; აჭარის ლოჯისტიკის, ტრანსპორტისა და გადამზიდავთა ასოციაციის თავმჯდომარე;
9. მარიამ ბურკენაძე - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი ; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი;
10. თამარ ხუხუნაიშვილი - ქ.ბათუმის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი - ექიმი-ლაბორანტი;

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებს სხდომის დღის წესრიგი წინასწარ დაეგზავნათ ელ.ფოსტაზე, ასევე ინფორმაცია განთავსდა ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ - გვერდზე.

რეგისტრაციის შედეგად სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 11 წევრიდან საბჭოს სხდომას ესწრებოდა 10, არ ესწრებოდა 1.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ :

ლევან კანთელაძე - შპს ,,დექსტერ დეველოპმენტის" დამფუძნებელი და დირექტორი, გოჩა გუგუნავა - საინიციატივო ჯგუფი, ნუგზარ ხოზრევანიძე - საინიციატივო ჯგუფი, ბაჩუკი ჩხეიძე - საზოგადოება ,,ბათუმელი" , ლუკას ოკრეშიძე - საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის იმერეთის წარმომადგენლობა, შოთა წაქაძე - საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის იმერეთის წარმომადგენლობა, მარკელა ჩხაიძე - ქალთა და ბავშთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია ,,მეჯლისი".

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების მე-4 მუხლის მე 10 პუნქტის თანახმად საბჭოს სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია რადგან მასში სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი წევრი მონაწილეობდა.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა გახსნა და უძღვებოდა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე - კახაბერ გუჩმანიძე.

სხდომას შემდგომი გაშუქების მიზნით ესწრებოდნენ ტელევიზიებიები - აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი და ტვ 25 , ასევე გაზეთი ,,ბათუმელები".

დღის წესრიგი გათვალისწინებული იყო შემდეგი საკითხები: -

დღის წესრიგი - # 10 (05 აპრილი - 2019 წ / 17 : 30 სთ)

საკითხი 1. ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში მრჩეველთა საბჭოს მიერ წარდგენილი ინიციატივების, რეკომენდაციებისა და წინადადებების განხილვის მიმდინარეობის საკითხი; წერილის პროექტის განხილვა.

მომხსენებელი : კახაბერ გუჩმანიძე (10 წთ)

საკითხი 2. მრჩეველთა საბჭოს მიერ მიმდინარე წლის 26 მარტს საინიციატივო ჯგუფთან გამართული შეხვედრისას წამოჭრილ საკითხზე (შპს ,, დექსტერ დეველოპმენტის " სამშენებლო ნებერთვის საკითხები) მერიიდან გამოთხოვილი მასალების შესწავლის შედეგებისა და ქ.ბათუმის მერის სახელზე მომზადებული შესაბამისი სარეკომენდაციო წერილის პროექტის განხილვა.

მომხსენებელი : კახაბერ გუჩმანიძე (10 წთ)

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს და სხდომაზე დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი, ჩატარდა ღია კენჭისყრა : საბჭოს დამსწრე წევრთა სრულმა შემადგენლობამ მხარი დაუჭირა დღის წესრიგს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს რათა განეხილათ დღის წესრიგით გათ - ვალისწინებული საკითხები.

საკითხი 1. ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში მრჩეველთა საბჭოს მიერ წარდგენილი ინიციატივების, რეკომენდაციებისა და წინადადებების განხილვის მიმდინარეობის საკითხი; წერილის პროექტის განხილვა.

მომხსენებელი : კახაბერ გუჩმანიძე (10 წთ)

კახაბერ გუჩმანიძემ მიმართა სხდომაზე დამსწრე წევრებს, რომ საბჭოს თითქმის რვათვიანი საქმიანობის მანძილზე მრავალი წინადადება, რეკომენდაცია და მოსაზრება იქნა

წარდგენილი ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისთვის, თუმცა არცერთ მათგანზე დღემდე არც წერილობითი და არც სხვა ტიპის პასუხი არ მიუღიათ.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა - მიუხედავად იმისა, რომ მერს არა აქვს ვალდებულება გაითვალისწინოს საბჭოს რეკომენდაციები, სასურველია რაიმე ტიპის უკუკავშირი მაინც იყოს მერიიდან, რადგან თუ სამოქალაქო მრჩეველთა საჭო მართლაც არის მერის სათათბირო ორგანო, მის მიერ წამოყენებული - ინიციატივების, მოსაზრებებისა და რეკომენდაციების არგაზიარებას წერილობით უნდა გაეცეს არგუმენტირებული პასუხი.

კახაბერ გუჩმანიძემ ასევე აღნიშნა, რომ დებულების მიხედვით მერის ვალდებულებაა - *„ საბჭოს განსახილველად წარუდგინოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი, სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტები, გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებები, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები, ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები.* " - რაც პრინციპში ასევე არ ხორციელდება.

კახაბერ გუჩმანიძემ შესთავაზა სხდომის წევრებს პირველ ეტაპზე მერს მიმართონ წერილობ-ით - რეკომენდაციების, წინადადებების და მოსაზრებების შემდგომ გათვალისწინებასთან დაკავშირებით, რაზედაც საბჭოს დამსწრე წევრებმა დაეთანხმნენ.

კახაბერ გუჩმანიძემ წარმოადგინა ქ.ბათუმის მერზე წერილის შემდეგი პროექტი :

,, ბატონო ლაშა,

მოგეხსენებათ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანომ - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭომ მიმდინარე წლის 05 აპრილის მე - 10 სხდომაზე განიხილა დღის წესრი-გით გათვალისწინებული საკითხი - ,, ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში მრჩეველთა საბჭოს მიერ წარდგენილი ინიციატივების, რეკომენდაციებისა და წინადადებების განხილ-ვის მიმდინარეობის საკითხი; წერილის პროექტის განხილვა. მომხსენებელი : კახაბერ გუჩმანიძე " . აღინიშნა, რომ მოცემული სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო უფლებამოსილების შესრულებას 2018 წლის სექტემბრიდან შეუდგა და დღემდე მოწვეული და ჩატარებული იქნა 10 (ათი) სხდომა სადაც განხილული იქნა არაერთი აქტუალური საკითხი, მოწვეული იყვნენ მუნიციპალიტეტის მერიის სხვადასხვა სამსახურის ხელმძღვანელი პირები, გაიმართა დისკუსიები, მათ შორის საბჭომ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში საქმიანობის რვა თვის მანძილზე მუნიციპალიტეტის მერიას შესთავაზე არაერთი წინადადება, რეკომენდაცია და მოსაზრება, ინიცირებული იქნა სხვადასხვა პროექტები და აქტივობები რაც წერილობითი ფორმით მიეწოდა მუნიციპალიტეტს.

გვინდა გაცნობოთ, რომ ჩვენს მიერ წერილობით წარმოდგენილ ინიციატივებზე, რეკომენდა-ციებსა და მოსაზრებებზე დღემდე არ მიგვიღია რაიმე ტიპის პასუხი.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოს დებულების მე - 6 მუხლის მე - 3 პუნქტის თანახმად - „ მერი უფლებამოსილია არ გაიზიაროს საბჭოს მიერ მიღებული რეკომენდაცია / წინადადება / მოსაზრება / შენიშვნა." - მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილ ინიციატივებზე წერილობით არგუმენტირებული პასუხის წარმოდგენა დადებითად აისახება მერსა და საბჭოს შორის შემდგომ კონსტრუქციულ თანამშრომლობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ თხოვნით სამომავლოდ საბჭოს მიერ წარმოდგენილ წინადადებეზე, რეკომენდაციებზე, მოსაზრებებზე მუნიციპალიტეტის მერიამ შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოს შესაბამისი უკუკავშირი. "

საბჭოს წევრებმა გულდასმით მოისმინეს წერილის პროექტი და გამოთქვეს თანხმობა მოცემული რედაქციით საკითხის კენჭისყრაზე დასაყენებლად.

გაიმართა ღია კენჭისყრა : საბჭოს დამსწრე წევრთა სრულმა უმრავლესობამ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილ წერილის პროექტს.

მერისთვის დადგენილი წესით წერილის მიწოდება ეთხოვა - კახაბერ გუჩმანიძეს.

საკითხი 2. მრჩეველთა საბჭოს მიერ მიმდინარე წლის 26 მარტს საინიციატივო ჯგუფთან გამართული შეხვედრისას წამოჭრილ საკითხზე (შპს „ დექსტერ დეველოპმენტის " სამშენებლო ნებერთვის საკითხები) მერიიდან გამოთხოვილი მასალების შესწავლის შედეგებისა და ქ.ბათუმის მერის სახელზე მომზადებული შესაბამისი სარეკომენდაციო წერილის პროექტის განხილვა.

მომხსენებელი : კახაბერ გუჩმანიძე (10 წთ)

კახაბერ გუჩმანიძემ მიმართა სხდომაზე დამსწრეთ და განაცხადა, რომ - მიმდინარე წლის აპრილის თვეში ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს განცხადებით მიმართა საინიციატივო ჯგუფმა რათა მოეწვია ქ.ბათუმის მერის სათათბირო ორგანოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა, სადაც ისინი წარადგენდნენ კონკრეტულ მასალებს ბიზნესთან დაკავშირებით და ასევე, ისაუბრებდნენ ქალაქში არსებულ საჭირბოროტო, სენსიტიურ საკითხებზე.

მერმა სამართლებრივად საფუძველსმოკლებულად და არასაკმარისად მიიჩნია საინიციატივო ჯგუფის მიერ წერილობით წარმოდგენილი ზოგადი მოთხოვნები და უარი განაცხადა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მოეწვია საბჭოს სხდომა.

მერის ხელმოწერით საბჭოზე განსახილველად გადმოგზავნილი საინიციატივო ჯგუფის განცხადება (მიუხედავად მერის უარისა) სამოქალაქო მრჩეველთა საბჭომ საკმარისად ჩათვალა რათა თავის უფლებამოსილების ფარგლებში გაემართა შეხვედრა საინიციატივო ჯგუფის წევრებთან.

კახაბერ გუჩმანიძემ შეახსენა საბჭოს დამსწრე წევრების საინიციატივო ჯგუფთან 26 მარტს გამართული შეხვედრების შესახებ და ასევე წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიიდან წერილობით გამოთხოვილი შპს ,,დექსტერ დეველოპმენტის'' სამშენებლო-სანებართვო მასალები, რაც სხდომამდე გასაცნობათ დაეგზავნათ საბჭოს წევრებს.

საკითხის ირგვლის გაიმართა დებატები.

მსჯელობაში აქტიურად ჩაერთნენ საბჭოს წევრები :

კახაბერ გუჩმანიძე : მუნიციპალიტეტიდან გამოთხოვილი მასალების მიხედვით კომპანიას წლების უკან მიღებული აქვს შემდეგი სანებართვო დოკუმენტები - ა) 2015 წ. 21 აპრილი აჭარის ა რ კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს გადაწყვეტილებით კომპანიას დაუმტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლო გამოყენების პირობები ბ) კომპანიას 2015 წ. 13 მაისს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით მშენებლობის მიზნით დაუმტკიცდა ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები გ) 2015 წ. 13 მაისსავე მერის ბრძანებით (მთავრობის

თავმჯდომარის შუამდგომლობით) დაუკმაყოფილდა მოთხოვნა სპეციალური ზონალური შეთანხმების თაობაზე და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ 2 მნიშვნელობა განესაზღვრა 6, 4 მდე. გასაკვირია ის ფაქტი, რომ მიუხედავად ამდენი მაღალი ლეგიტიმა - ციის მქონე პირების მიერ ხელმოწერილი დოკუმენტებისა კომპანიას საბოლოოდ დღემდე არ მიეცა სამშენებლო და არც მანამდე განსახორციელებელ დემონტაჟის სამუშაოებზე ნებართვა. მოცემულ ფაქტებზე დაყრდნობით ვფიქრობ შესაძლოა ადგილი ქონდეს კომპანიისადმი შერჩევით და არასათანადო დამოკიდებულებას.

ზურაბ ჩიხლაძე : წარმოდგენილ და მერიიდან გამოთხოვილ მასალებზე დაყრდნობით ვფიქრობ კომპანიას აქვს სამართლიანი მოთხოვნები, თუმცა სხვა საკითხია რამდენად მისაღებია ჩემთვის ნინოშვილის ქ. 25 - ში მაღალსართულიანი სასტუმრო - საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა, ვფიქრობ თავის დროზე არც ბაბილონ თაუერისთვის უნდა მიეცათ მშენებლობის უფლება. ჩემი პოზიციაა, რომ ნინოშვილის ქუჩაზე ძველი ბულვარის მიმდება რედ საერთოდ უარი უნდა ეთქვას მრავალსართულიან მშენებლობებს, თუმცა კომპანია შპს ,,დექსტერ დეველოპმენტს" თითქმის ყველა სამშენებლო - სანებართვო სტადია აქვს გავლილი და თუ საბოლოოდ მაინც უარი ეთქმება დამატებით გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ კომპანიას წლების მანძილზე პასუხგაუცემლობის გამო მიადგა ფინანსური ზიანი, ბიზნესის დაზარალება კი ჩემთვის მიუღებელია და ვფიქრობ ბიზნესის ინტერესები მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული, ხაზგასმით ვაცხადებ, რომ მუნიციპალიტეტმა კომპანიას ღირსეული ადგილმონაცვლეობა უნდა შესთავაზოს.

ნათია აფხაზავა : მაინტერესებს საბჭო იცნობთ თუ არა საკითხთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერის და მერიის პოზიციას ? გყავდათ თუ არა მერი მოწვეული საბჭოს სხდომაზე ? ვფიქრობ სამართლიანი იქნება საკითხის უკეთ წარმოჩენის მიზნით ვიცოდეთ მერიის პოზიცია.

კახაბერ გუჩმანიძე : თუ გაინტერესებთ მივმართეთ თუ არა მერს წერილობით კონკრეტუ- ლად ამ სხდომაზე დასწრების მიზნით გეტყვით, რომ - არ მიგვიმართავს წერილობით, თუმცა სიტყვიერად ის ჩემი მხრიდან ინფორმირებული იყო სხდომის დეტალებზე და სურვილი, რომ ქონოდა დაესწრებოდა, რაც შეეხება მერის ოფიციალურ პოზიციას კონკრეტუ ლად ,,დექსტერ დეველოპმენთან" დაკავშირებით ის ჩემთვის უცნობია, საინიციატივო ჯგუფის მიმართვის მიუხედავად მან არ ჩათვალა საჭიროდ ამ საკითხზე მოეწვია მრჩეველთა საბჭოს სხდომა და ვფიქრობ არც სურვილი ექნებოდა დასწრების. მითუმეტეს 26 მარტსაც შედგა შეხვედრა ზემოაღნიშნულ საკითხზე და არც იქ დასწრებია.

თამაზ თურმანიძე : ვერ დაგეთანხმებით იმაში, რომ კონკრეტულად ამ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს უნდა მოეწვია მერი, ან სხდომამდე გაერკვია მერიის კონკრეტული პოზიცია, საბჭო არის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო, რომელიც დამოუკიდებლად განიხილავს კონკრეტულ საკითხებს და შემდგომ წარუდგენს მერს - რეკომენდაციებსა და მოსაზრებებს. საინიციატივო ჯგუფმა თავად გამოხატა სურვილი შეხვედროდა მრცეველთა საბჭოს, რის შემდგომაც ოფიციალურად გამოვითხოვეთ კომპანიასთან დაკავშირებით მერიაში არსებული მასალები სრულად, ასევე მასალები მოგვაწოდა კომპანიამაც, ვფიქრობ სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ საბჭომ ჩამოაყალიბოს საკუთარი პოზიცია.

ნათია აფხაზავა : ვფიქრობ , აღნიშნულო საკითხი არ უნდა განხილულიყო მერიის/ მერის ოფიციალირი პოზიციის/პასუხის გარეშე. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭომ არ მოიწვია მერი/წარმომადგენელი, ორივე მხარის პოზიციების მოკვლევის/ მოსმენის შემდგომ უნდა მიეღო გადაწყვეტილება - განიხილავდა თუ არა აღნიშნულ საკითხს. ასევე აბსოლუტურად

მიუღებელია საბჭოს ერთეული წევრების მიერ შემუშავებულ რეკომენდაცია, რადგან აღნიშნული მაშტაბის მშენებლობა დაუშვებელია კულტურული მემკვიდრეობის ზონაში. ადგილმონაცველობის რეკომენდაცია, როცა არ იცი რა სახის მოლაპარაკება წარმოებდა ან/და რა ქონებას ფლობს მერია ვფიქრობ არაგინივრულია. და ბოლოს თუ უფლებადარღვეულად გრძნობს კომპანია, უნდა მიმართოს შესავამის სახელმწიფო უწყებებს, საბჭოს არა აქვს ეს ლეგიტიმაცია.

მაყვალა კვირიკაძე : ვფიქრობ, რომ ბიზნესი უნდა იყოს ხელშეუხებელი და მაქსიმალურად ხელი ეწყობოდეს განვითარებისთვის საჭირო გარემოს შექმნას, ამიტომ მე ყოველთვის მხარს დავუჭერ ბიზნესის სამართლიან მოთხოვნებს. შპს ,,დექსტერ დეველოპმენტის" საკითხს აჭარის ბიზნესსომბუცმენიც იკვლევს რაც ძალიან საინტერესოა და ბევრზე მეტყველებს.

ნინო ინაიშვილი : კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს მიერ მოცემულ გარემოში მსგავსი მოცულობის ნაგებობის პროექტის შეთანხმება რბილად რომ ვთქვათ, დანაშაულია, რადგან ეწინააღმდეგება კანონს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. პროექტს სახელოვნებათ -მცოდნეო კვლევაც არ ახლავს . არქიტექტურას რაც შეეეხება, სპეციალისტების მოსაზრებებზე დაყრდნობით აღვნიშნავ, რომ რეგულაციის ხაზები დარღვეულია და ეს ობიექტი ვერ ჯდება ამ სივრცეში. შესაძლოა, ეს იყო მერიის მხრიდან ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვე ლი. სამწუხაროა (და ეს არ არის გამონაკლისი შემთხვევა), როცა საჯარო მოხელეების არასწორი, უპასუხისმგებლო, დანაშაულებრივი გადაწყვეტილებების გამო ზარალდება ქალაქი, მოსახლეობა და მენაშენე / დეველოპერი.

სხდომაზე დამსწრეებმა საინიციატივო ჯგუფის წევრებმა ლევან კანთელაძემ და ნუგზარ ხოზრევანიძემ მიმართეს ნინო ინაიშვილს და უთხრეს რომ პროექტს თან ახლავს შესაბამისი სპეციალისტის სახელოვნებათმცოდნეო კვლევა და ეს შეუძლიათ ნებისმიერ დროს გამოითხოვონ მუნიციპალიტეტიდან, ან უნდა ახლდეს გამოთხოვილ დოკუმენტაციას.

ნინო ინაიშვილი : რაც შეეხება წერილის პროექტს მას ვიცნობ და მხარს ვერ დავუჭერ (და ამიტომაც არ მივიღებ მონაწილეობას კენჭისყრაში), რადგან პრინციპულად ვეწინააღმდეგები კულტურული მემკვიდრეობის ზოგადი დაცვის ზონაში ან ძეგლის ინდივიდუალური დაცვის ზონაში მსგავსი მასშტაბის მოცულობების გაჩენას. მერე სამართლიანად ექნებათ ჩემ მიმართ სხვებს პრეტენზიები.

კახაბერ გუჩმანიძე : ჩვენ სხდომაზე განვიხილავთ წარმოდგენილ და გამოთხოვილ მასალებზე დაყრდნობით კონკრეტულ ბიზნესს ქეისს და სწორედ ბიზნესის კუთხით გვთხოვს საინიციატივო ჯგუფი შეფასებას. ვფიქრომ საბჭოს მოცემულ ეტაპზე არ გააჩნია კომპეტენცია კონკრეტულად იმსჯელოს პროექტის ავკარგიანობაზე, თუმცა პირადად მე როგორც მოქალაქეს ვიზუალთან დაკავშირებით შესაძლოა მქონდეს საკუთარი პოზიცია. სხვა საკითხია რამდენად მოგვწონს ან რამდენად ვეთანხმებით ნინოშვილის 25 - ში მრავალსართულიანი შენობის აგებას, აქ აქცენტების დასმას სხვა პრიზმაში გვთხოვენ და მე მექმნება განცდა იმისა, რომ მოცემულ კომპანიას შერჩევითობის პრინციპით უდგებიან რაც ჩემთვის მიუღებელია. ყოველთვის შევეწინააღმდეგი ხელოვნურად წინააღმდეგობის შექმნის ნებისმიერ მცდელობას. ბზინესი უნდა იყოს ხელშეუხებელი და მაქსიმალურად ხელი ეწყობოდეს მის განვითარებას. სასურველი იქნებოდა აღნიშნულ ზონაში საერთოდ არ გაეცათ არანაერი სამშენებლო ნებართვა, მაგრამ თუ იკვეთება, რომ სახელმწიფოს მაღალჩინოსანთა

მხრიდა პროცესები კანონდარღვევითაა დაწყებული ან შემდგომ პედალირებული, მაშინ უნდა დადგეს პასუხისმგებლობის საკითხიც.

გურამ ფუტკარაძე : როგორც მხატვარს და ხელოვანს შესაძლოა გამაჩნდეს საკუთარი მოსაზრება პროექტის ვიზუალთან ან ზოგადად პროექტთან დაკავშირებით, თუმცა ეგ სხვა მსჯელობის თემაა, მიმაჩნია, რომ ბიზნესის უფლებები მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული.

თემურ კაკაბაძე : ზოგადად გასარკვევია რა გახდა ამდენი ნებართვის გაცემის წინაპირობა ან თუ დარღვევითაა გაცემული რა გახდა ამის მიზეზი, ვფიქრობ ეს საკითხი ცალკე შესაწავლას მოითხოვს. ბიზნესისადმი დამოკიდებულებას რაც შეეხება ვეთანხმები კოლეგების უმრავლესობის მოსაზრებას და ის ხელშეუხებელი უნდა იყოს და მაქსიმალურად უნდა განვითარდეს.

დებატებში აქტიურად ჩაებნენ სხდომაზე დამსწრე პირებიც.

კახაბერ გუჩმანიძემ მიმართა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრებს და კენჭისყრაზე დასაყენებლად წარუდგინა წერილის შემდეგი პროექტი :

„ ბატონო ლაშა,

მოგეხსენებათ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანომ - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭომ მიმდინარე წლის 05 აპრილის მე - 10 სხდომაზე განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი - „ მრჩეველთა საბჭოს მიერ მიმდინარე წლის 26 მარტს საინიციატივო ჯგუფთან გამართული შეხვედრისას წამოჭრილ საკითხზე (შპს „ დექსტერ დეველოპმენტის " სამშენებლო ნებერთვის საკითხები) მერიიდან გამოთხოვილი მასალების შესწავლის შედეგებისა და ქ.ბათუმის მერის სახელზე მომზადებული შესაბამისი სარეკომენდაციო წერილის პროექტის განხილვა. მომხსენებელი : კახაბერ გუჩმანიძე "

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილებაუნარიან სხდომაზე გაიმართა აქტიური დისკუსია და გამოითქვა მოსაზრებები, საბოლოო განხილვის შედეგად საბჭომ დებულების მე - 4 მუხლის მე - 8 პუნქტის შესაბამისად სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება, რომელსაც მხარი დაუჭირა დამსწრე წევრთა უმრავლესობამ (სხდომის ოქმი N10 / 05.04.2019).

შეგროვებული და გამოთხოვილი დოკუმენტაციის განხილვის შედეგად სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს უფლებამოსილების ფარგლებში ასევე დებულების მე - 6 მუხლის მე - 2 პუნქტის თანახმად წარმოგიდგენთ მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე მიღებულ - რეკომენდაცია / წინადადება / მოსაზრებას :

1. მიზანშეწონილია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მხრიდან შემჭიდროებულ ვადებში მიეცეს არგუმენტირებული განმარტება და შესაბამისი პასუხი კომპანია შპს „ დექსტერ დეველოპმენტის " მოთხოვნებს სამშენებლო - სანებართვო საკითხებთან დაკავშირებით.

2. ასევე იმ შემთხვევაში თუ მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან იქნება დასაბუთებუ - ლი და მოტივირებული უარი დემონტაჟის პროექტის შეთანხმების თაობაზე (რადგან პროცესი საკმაოდ გაიწელა დროში), ვფიქრობთ საზოგადო და ბიზნეს ინტერესების გათვალისწინებით სამართლიანი იქნება მუნიციპალიტეტმა მაქსიმალური ძალისხმევა გამოიჩინოს კომპანია „ დექსტერ დეველოპმენტისთვის " ადექვატური ადგილმონაცვლეობის შეთავაზების კუთხით.

ვიმედოვნებთ გულდასმით მიუდგებით სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს - წინადადებებს / რეკომენდაციებს / მოსაზრებებს და კომპეტენციის ფარგლებში მიიღებთ სათანადო გადაწყვეტილებას.

გთხოვთ, პასუხი გვაცნობოთ წერილობით.

წინასწარ მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის. "

ჩატარდა ღია კენჭისყრა : კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საბჭოს დამსწრე წევრთა სრულმა შემადგენლობამ, 10 წევრიდან - 8 - მომხრე, 2 - წინააღმდეგი (ნ. ინაიშვილი, ნ. აფხაზავა)

ხმათა უმრავლესობით მხარდაჭერილ იქნა წარმოდგენილი წერილის პროექტი.

მერისთვის დადგენილი წესით წერილის მიწოდება ეთხოვა - კახაბერ გუჩმანიძეს.

კახაბერ გუჩმანიძემ მადლობა გადაუხადა დამსწრე ტელევიზიებსა და სამოქალაქო სექტო - რის წარმომადგენლებსა რის შემდგომაც სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

კახაბერ გუჩმანიძე

სამოქალაქო მრცეველთა საბჭოს მდივანი

მარიამ ბურკენაძე

ქ.ბათუმის მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

05 აპრილი 2019, ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ოთახი
(მის: ლუკა ასათიანის ქ. #25)

სარეგისტრაციო ფურცელი
(მრჩეველთა საბჭოს წევრები)

#	Name სახელი, გვარი	პოზიცია	Signature ხელმოწერა
1.	კახაბერ გუჩმანიძე	თავმჯდომარე	
2.	თამაზ თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
3.	მარიამ ბურკენაძე	მდივანი	მ. ბურკენაძე
4.	მაყვალა კვირიკაძე	წევრი	მ. კვირიკაძე
5.	ნინო ინაიშვილი	წევრი	ნ. ინაიშვილი
6.	თამარ ხუხუნაიშვილი	წევრი	თ. ხუხუნაიშვილი
7.	ნათია აფხაზავა	წევრი	
8.	ზურაბ ჩიხლაძე	წევრი	
9.	გურამ ფუტკარაძე	წევრი	
10.	ლაშა ნაკაშიძე	წევრი	
11.	თემურ კაკაბაძე	წევრი	თ. კაკაბაძე

ქ.ბათუმის მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

05 აპრილი 2019, ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ოთახი
(მის: ლუკა ასათიანის ქ. #25)

სარეგისტრაციო ფურცელი
(სხდომაზე დამსწრე საბჭოს არაწევრი პირები)

#	Name სახელი, გვარი	Institution ორგანიზაცია	Contact information/E-mail საკონტაქტო ინფორმაცია/ელ–ფოსტა	Signature ხელმოწერა
1.	[illegible]	[illegible]	514-51-09-09	
2.	[illegible]		577-42-44-44	
3.	[illegible]	[illegible]	577 580400	
4.	[illegible]	[illegible]	599 45 21 96	
5.	[illegible]	[illegible]	599 22-42-77	

#	Name სახელი, გვარი	Institution ორგანიზაცია	Contact information/E-mail საკონტაქტო ინფორმაცია/ელ–ფოსტა	Signature ხელმოწერა
6.	[illegible]		599 60 3353	
7.	[illegible]		577 09 79 92	
8.				
9.				
10.				
11.				
12.				
13.				
14.				